საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაცული ტერიტორიების სააგენტო

LEGAL ENTITY UNDER PUBLIC LAW
AGENCY OF PROTECTED AREAS

გ.გულუას ქ. N6 0114 თბილისი / საქართველო ტელ + 99 5 32 275 23 53 / ელ. ფოსტა daculebi@gmail.com
6 GULUA STREET / TBILISI / GEORGIA 0114 TEL +99 5 32 275 23 53/ EMAIL daculebi@gmail.com

N 965

02/04/2019 965-0-2-201904021158

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
მთავარ დირექტორს
დავით ქუტიძეს

ბატონო დავით,

თქვენი, 2019 წლის #728 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ:

1. 2018 წელს დაცული ტერიტორიების ფართობი ქვეყნის მასშტაბით 1%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით (595 963 ჰა, ქვეყნის ტერიტორიის 8.55%) და ახლანდელი მდგომარეობით, დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი დაახლოებით 665 664 ჰა-ია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 9.55%-ს შეადგენს.
"დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ" და "თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ" საქართველოს კანონებში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით შეიცვალა ზოგიერთი დაცული ტერიტორიის ფართობი. 2018 წლის ბოლოს გაფართოვდა ალგეთის ეროვნული პარკი (1 946 ჰა-ით), ასევე გაფართოვდა ყაზბეგის ეროვნული პარკი (69 518 ჰა-ით).

2. 2018 წელს დაცულ ტერიტორიებზე განვითარდა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურა, კერძოდ:

- 2018 წელს თბილისის, მაჭახელას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკებში განვითარდა დაცვის ინფრასტრუქტურა; შეძენილ იქნა საველე და ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დაცული ტერიტორიებისთვის (მათ შორის, კვადროციკლები, წყლის ტუმბოები, ბენზოხერხები და ა.შ.);
- 15 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციისთვის (კოლხეთის, ჭაჭუნას, კინტრიშის, თუშეთის, ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის, მაჭახელას, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების, ლაგოდეხის, თბილისის, ალგეთის, ჯავახეთის, ნავენახევის, მტირალას და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები) დამზადდა საგზაო მანიშნებლები;
- ჩატარდა დემარკაცია ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკისთვის, სააგენტოსა და დონორის KFW /GFA თანამშრომლობის ფარგლებში (79 908 ჰა-ზე);

- მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ეკოტურისტული და ეკოსაგანმანათლებლო მნიშვნელობის საინფორმაციო ინფრასტრუქტურას, კერძოდ:

    1. ვაშლოვანში საკმლის ხის საგანმანათლობლო ბილიკის ინფრსტრუქტურა;
    2. საწურბლიის და ნავენახევის მღვიმეების ინფრასტრუქტურა;
    3. მარტვილის კანიონის ინფრსტრუქტურა;
    4. ოკაცის კანიონის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია;
    5. ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2018 წლის განმავლობაში ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 8 436 125 ლარი, რაც წინა 2017 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (4 504 473 ლარი) შედარებით 87%-ით არის გაზრდილი.

პატივისცემით,

ვალერიან მჭედლიძე

თავმჯდომარე